

აუცილებელი მოგერიება, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი
ერთ-ერთი გარემოება

ვახტანგ გელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის სისხლსი სამართლის ფაკულტეტზე სამართლის
მაგისტრის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი : იოსებ ვარძელაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020 წელი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ვახტანგ გელაშვილი

28/05/2020.

აბსტრაქტი

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული, აუცილებელი მოგერიება, რომელიც წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებას და შედეგად იწვევს ქმედების განმხორციელებელი პირის დაუსჯელობას. აღსანიშნავია, რომ მის ობიექტური და სუბიექტური მხარისთვის დამახასიათებელი ნიშნების ერთობლიობას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს აუცილებელი მოგერიების მართლზომიერებისათვის, ერთ-ერთი მხარის მახასიათებელი ნიშნის არ არსებობის შემთხვევაშიც კი შეუძლებელი ხდება კონკრეტული ქმედება არქმული იქნას აუცილებელ მოგერიებად. სწორედ ეს გარემოება იწვევს აღნიშნული ინსტიტუტის სირთულეს, რამეთუ ხშირია შემთხვევები რომლის დროსაც გაურკვეველია და რთულად დასადგენია იყო თუ არა აღნიშნული ქმედება აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული და უნდა დაეკისროს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედების განმხორციელებელს თუ უნდა მივიჩნიოთ ქმედება მართლზომიერად.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მკაცრად არის გაწერილი და შემოსაზღვრული აუცილებელი მოგერიების ფარგლები, თვითოეული შემთხვევის ინდივიდუალურობიდან გამომდინარე, ხშირად მაინც რთულად დასადგენი და სადავო ხდება კონკრეტული ქმედება წარმოადგენს თუ არა აუცილებელ მოგერიებას, რამეთუ ხშირად დავის ობიექტი სწორედ ქმედების განმხორციელებელი პირის და თვითონ მოქმედების ფარგლების განსაზღვრაა. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილების დადგენა საკმაოდ რთული ამოცანაა და მის გადასაჭრელად ამსაკითხს მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადეთ გვემსჯელა ზემოთხსენებული საკითხის ყველა პრობლემურ თემაზე და მისი გაანალიზებით მოგვეძებნა გამოსავალი. ამასთან ერთად ნაშრომში ასევე განხილულია აუცილებელი მოგერიების პროვოკაციის პრობლემა, რომელიც მისთვის დამახასიათებელი

სპეციფიკური ბუნების გათვალისწინებით,ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე,სრულად შესწავლილი და დამუშავებული, აღსაღნიშნავია რომ აუცილებელი მოგერიების პროვოკაციას გააჩნია გამოვლინების განსხვავებული ფორმები რაც შესაბამისად შევეცადეთ სრულყოფილად შეგვესწავლა ნაშრომში და გმესჯელა მათზე.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ წარმოგვედგინა და სტუქტურულად სწორად ჩამოგვეყალიბებინა აუცილებელი მოგერიების აგებულება.რამეთუ კანონში სწორად გაწერილი ცნება და სრულყოფილად აგებული სტუქტურა უზრუნველყოფს ნებისმიერი ნორმის გამართულ ფუნქციონირებას.ნაშრომში ასევე განვიხილეთ აუცილებელი მოგერიების ისტორიული განვითარების ეტაპები ქართულ სისხლსის სამართლის სისტემაში,რითაც გვინდოდა ზოგადად დაგვენახებინა თუ რაოდენ დიდი ისტორიული განვითარების მატარებელია აღნიშნული ინსტიტუტი.აღნიშნულ საკითვის კვლევისას გამოვიყენეთ როგორც ქართული ასევე უცხოური ლიტერატურა რაც დაგვეხმარა პრობლემის ანალიზში და ამ საკითხების სწორი კუთხით აღქმა მოგვამზადებს მომავლისათვის, სადაც აღარ იქნება არავითარი პრობლემა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებასა და პროვოკაციასთან დაკავშირებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები : აუცილებელი მოგერიება, მართლზომიერება, პროვოკაცია, იმწუთიერება, დაცვა, სტრუქტურა.

Abstract

This master thesis will discuss necessary defense, accounted for in the Georgian criminal codes, which constitutes for circumstance precluding wrongfulness and results in the impunity of the acting person. It is noteworthy that, the unity of characteristics of both objective and subjective sides, are extremely important for rightfulness of necessary defense, in case of lack of either of the characteristics, it becomes impossible for a certain action to be viewed as necessary defense. This exact characteristic makes the institution in question complicated, since the cases where it is unclear and difficult to determine whether the action falls within the constraints of necessary defense, and whether the acting person should incur the criminal responsibility or if their action should be deemed as rightful.

Even though Georgian criminal law has a strict definition of what constitutes for necessary defense, due to the individual nature of each case, it is nevertheless often difficult to determine, and becomes a subject of debate, whether an action constitutes for necessary defense, since in many cases the subject of debate boils down to determining the acting person and the boundaries of the action. Therefore, we can say that determining the fact of overstepping the boundaries of necessary defense is a complicated task and should be paid its due attention if it is to be resolved. In this thesis we have attempted to discuss the problematic facets of the aforementioned issue and by analyzing it, determine a solution. Furthermore, in the thesis we have discussed the problem of provoking necessary defense, which due to its specific nature is not yet fully studied and analyzed. It should be noted, that provoking necessary defense can manifest in multiple forms, hence we have tried to fully study and discuss them.

In the given thesis we have attempted to present in a clear and structurally correct way the structure of necessary defense, since any concept given in a legal code that is precise and structurally sound, enables correct function of any norm. In the thesis we have also discussed the

historic development stages of necessary defense in Georgian law, and by doing so we attempted to emphasize its rich historical heritage. While researching the said topic, we have used both Georgian and foreign literature, which has helped us to analyze the problem and view it in the correct light, which will prepare us for the future where there will be no issues regarding determining boundaries and the matter of provoking of necessary defense.

Keywords: necessary defense, lawfulness, provocation, momentary, defence, structure.